



დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით

2018 წლის 16 აპრილი N20

## აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი არეგულირებს აკადემიური პერსონალის (პროფესორის/ასოცირებული პროფესორის) ზღვრულ დატვირთვას სასწავლო წლის განმავლობაში.

### მუხლი 2. აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის შემუშავების ძირითადი პრინციპები.

- აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის შემუშავების ძირითადი პრინციპებია:
  - აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრა ღიად და სამართლიანად, აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის გზით;
  - დატვირთვის კომპონენტების/აქტივობების შესაბამისობა სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან, სტრატეგიასთან, მართვის პოლიტიკასთან;
  - დატვირთვის განსაზღვრისას საუკეთესო გამოცდილების გაზიარება.
- პროფესორის/ასოცირებული პროფესორის დატვირთვის განაწილება უნდა ასახავდეს აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელ აქტივობებს, მათ შორის: სწავლების მეთოდებისა და კურიკულუმის განვითარება, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული საქმიანობა, სამეცნიერო საქმიანობა, საუნივერსიტეტო ღონისძიებებში ან უფრო ფართო საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა და სხვა.

### მუხლი 3. აკადემიური პერსონალის სამუშაო აღწერილობა ზღვრული დატვირთვის სქემის შესაბამისად

- აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვა განისაზღვრება:
  - აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის 800 საათით (დანართი 1)
  - აკადემიური პერსონალისთვის (არააფილირებული) 400 საათით (დანართი 2)
- აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობის ძირითადი კომპონენტებია:
  - სწავლება;
  - სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული განვითარების ხელშეწყობი საქმიანობა;

გ) ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობა.

3. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში საკონტაქტო საათების/სწავლების კომპონენტი მოიცავს: სალექციო-სააუდიტორო საათები (ლექცია-სემინარები), სალექციო თემის მომზადება, სასწავლო კურსების წერითი გამიკითხვის (ტესტის შუალედური, დასკვნითი, დამატებითი) ვარიანტების შემუშავება, გასწორება, საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება/მოდიფიცირება, ახალი სასწავლო კურსის, (სილაბუსის), მომზადება, თარგმანის შესრულება, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თემის ხელმძღვანელობა, სამაგისტრო /საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა/ოპონირება/შეფასება, პრაქტიკის ხელმძღვანელობა, კონსულტაცია(სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა), პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა. ონლაინ ვიდეო ლექციების მომზადება. მიდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასების წარმოება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებაში მონაწილეობა, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის განახლება, სტუდენტების კონსულტირება, არასააუდიტორიო კომუნიკაცია და სხვა.

4. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული განვითარების ხელშეწყობი საქმიანობის კომპონენტი მოიცავს: სახელმძღვანელოზე მუშაობას (2 წლის განმავლობაში), მონოგრაფიაზე მუშაობა (სამი წლის განმავლობაში), თარგმანის შესრულება (სახელმძღვანელო/ მონოგრაფიის, ან/და სხვა), სამეცნიერო პუბლიკაციის (სტატიის) მომზადება/გამოცემა სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებულში, წარმატებული საგრანტო (საუნივერსიტეტო) პროექტის მომზადება, სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა, სასწავლო უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს ფარგლებში სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა.

5. ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობის კომპონენტი მოიცავს: ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსებას, სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ფუნქციის შეთავსებას, ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციის შეთავსებას, ფაკულტეტის საბჭოს წევრობას.

**მუხლი 4. აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის კომპონენტების პროცენტული განაწილება**

1. აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის კომპონენტების პროცენტული განაწილება განისაზღვრება:

ა) აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის/პროფესორისთვის წელიწადში შესასრულებელი მინიმალური 800 საათიდან 30% უნდა დაეთმოს საკონტაქტო საათებს/სწავლებას; 40%-კვლევას; 30% - სწავლებას, კვლევას და სხვა დანარჩენ აქტივობებს აკადემიური პერსონალის შეხედულებისამებრ.



ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის/ასოცირებული პროფესორისთვის წელიწადში შესასრულებელი მინიმალური 800 საათიდან 35% უნდა დაეთმოს საკონტაქტო საათებს/სწავლებას; 35%-კვლევას; 30% - სწავლებას, კვლევას და სხვა დანარჩენ აქტივობებს აკადემიური პერსონალის შეხედულებისამებრ.

ბ) არააფილირებული აკადემიური პერსონალისთვის წელიწადში შესასრულებელი მინიმალური 400 საათი ნაწილდება საკონტაქტო საათებზე/სწავლებაზე, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

გ) აფილირებული აკადემიური პერსონალის/პროფესორის კვირეული დატვირთვა განისაზღვრება მინიმუმ 18 საათით

დ) აფილირებული აკადემიური პერსონალის/ასოცირებული პროფესორის კვირეული დატვირთვა განისაზღვრება მინიმუმ 18 საათით

### **მუხლი 5. აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები**

1. აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.
2. აკადემიური პერსონალის წლიური სამუშაო დრო განისაზღვრება 45 კვირით
3. დატვირთვის სქემით დადგენილი, აკადემიური პერსონალის ზღვრული წლიური (მინიმალური კვირეული) საათობრივი დატვირთვა ითვალისწინებს უმაღლესი განათლების სწავლების პირველ და მეორე საფეხურს.
4. აკადემიურ პერსონალს არ უნდა მოეთხოვოს დატვირთვის სქემით გათვალისწინებული საქმიანობის ყოველწლიურად ზუსტად შესრულება, რათა ზღვრულ დატვირთვაში არ აღმოჩნდეს ხელშემშლელი და შემზღვეველი გარემოებები მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლაში. აკადემიურ პერსონალს უნდა შეეძლოს ზოგიერთი შესასრულებელი სამუშაოს წლების მიხედვით გადანაწილება;
5. აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეასრულოს საქმიანობის ძირითადი კომპონენტებით გათვალისწინებული აქტივობები.
6. საანგარიშო პერიოდი (წლიური ანგარიში) მოიცავს აკადემიურ სასწავლო წელს. ანგარიშები აკადემიურ საბჭოს წარედგინება არაუგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სამეცნიერო განყოფილების უფროსის მიერ.

### **მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ხელშეკრულების დანართი არააფილირებული აკადემიური პერსონალისთვის

(აკადემიური პერსონალის მინიმალური დატვირთვა სასწავლო წლის განმავლობაში—400 საათი)

№	კომპონენტი	დატვირთვაში ასახვა	
1.	სააუდიტორიო (საკონტაქტო) დატვირთვა	პროფესორისთვის მინიმუმ 3 საკონტაქტო საათი კვირაში, ასოცირებული პროფესორისთვის მინიმუმ 6 საკონტაქტოსაათი კვირაში.	სასწავლო წლის განმავლობაში 90 საათი/სასწავლო წლის განმავლობაში 180 საათი
2	ლექციის მომზადება	3 საათი 1 სალექციო თემის მომზადება	
3.	წერიტი გამოკითხვის (ტესტის (შუალედური, დასკვნითი, დამატებითი) ვარიანტის შემუშავება	4 საათი - 1 ვარიანტზე	მინიმუმ 3 ვარიანტი თითოეულ გამოცდაზე
4.	წერიტი გამოკითხვის (ტესტის) გასწორება	30 წუთი ერთ ტესტზე	
5.	ახალი სასწავლო კურსის მომზადება	200 საათი	
6.	საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება	500 საათი	
7.	საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება	250 საათი	
8.	საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის განახლება	250 საათი	
9.	თარგმანის შესრულება (სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის ან/და სხვა)	გვერდი 2 საათი	
10.	სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თემის ხელმძღვანელობა	20 საათი ერთ სტუდენტზე	
11.	ფაკულტეტის საბჭოს წევრობა	30 საათი	
12.	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ოპონირება, შეფასება	50საათი 1 სტუდენტზე	
13.	საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ოპონირება, შეფასება	30საათი 1 სტუდენტზე	
14.	პრაქტიკის ხელმძღვანელობა	1 საათი დღეში	
15.	კონსულტაცია (სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა)	2 საათი კვირაში	
16.	პროგრამის ხელმძღვანელობა	500	



17.	პროგრამის თანახემდგანელობა	300	
18.	ტრენინგ-კურსის მომზადება/ჩატარება	100 საათი 1 ტრენინგ-კურსზე	
19.	საჯარო ლექციის მომზადება/ჩატარება	100 საათი 1 საჯარო ლექციაზე	
20.	ონლაინ ვიდეო ლექციების ჩატარება	1 საათი 1 ლექციაზე	
21.	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებაში მონაწილეობა	50 საათი	
22.	არასააუდიტორიო კომუნიკაცია სტუდენტებთან და სხვა	2 საათი კვირაში	
23.	საზოგადოებრივი საქმიანობა	1 აქტივობა 20 საათი	

შენიშვნა:

- არააფილირებული აკადემიური პერსონალისთვის წელიწადში შესასრულებელი მინიმალური 400 საათი ნაწილდება საკონტაქტო საათებზე/სწავლებაზე, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ხელშეკრულების დანართი აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის

(აკადემიური პერსონალის მინიმალური დატვირთვა სასწავლო წლის განმავლობაში-800 საათი)

№	კომპონენტი	დატვირთვაში ასახვა	
1.	სააუდიტორიო (საკონტაქტო) დატვირთვა	პროფესორისთვის მინიმუმ 3 საკონტაქტო საათი კვირაში, ასოცირებული პროფესორისთვის მინიმუმ 6 საკონტაქტო საათი კვირაში.	სასწავლო წლის განმავლობაში 90 საათი/სასწავლო წლის განმავლობაში 180 საათი
2	ლექციის მომზადება	3 საათი 1 სალექციო თემის მომზადება	
3.	წერიტი გამოკითხვის (ტესტის (შუალედური, დასკვნითი, დამატებითი) ვარიანტის შემუშავება	4 საათი - 1 ვარიანტზე	მინიმუმ 3 ვარიანტი თითოეულ გამოცდაზე
4.	წერიტი გამოკითხვის (ტესტის) გასწორება	30 წუთი ერთ ტესტზე	
5.	ახალი სასწავლო კურსის მომზადება	200 საათი	
6.	საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება	500საათი	
7.	საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება	250 საათი	
8.	საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის განახლება	250 საათი	
9.	სახელმძღვანელოზე მუშაობა (2 წლის განმავლობაში)	300 საათი წელიწადში შესრულებული სამუშაოს მიხედვით	
10.	მონოგრაფიაზე მუშაობა(3 წლის განმავლობაში)	300 საათი წელიწადში შესრულებული სამუშაოს მიხედვით	
11.	თარგმანის შესრულება (სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის ან/და სხვა)	გვერდი 2 საათი	
12.	სამეცნიერო კუბლიკაციის (სტატიის) მომზადება სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებულში	200 საათი	
13.	წარმატებული საგრანტო	100 საათი	



	(საუნივერსიტეტო) პროექტის მომზადება		
14.	სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება	200 საათი წელიწადში პროექტის ხანგრძლივობის მიხედვით	
15.	სასწავლო უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება	200 საათი	
16.	სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს ფარგლებში სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება	150 საათი	
17.	სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თემის ხელმძღვანელობა	20 საათი ერთ სტუდენტზე	
18.	ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსება	200 საათი	
19.	სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ფუნქციის შეთავსება	400 საათი	
20.	ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციის შეთავსება	200 საათი	
21.	ფაკულტეტის საბჭოს წევრობა	30 საათი	
22.	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ოპონირება, შეფასება	50 საათი 1 სტუდენტზე	
23.	საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ოპონირება, შეფასება	30 საათი 1 სტუდენტზე	
24.	პრაქტიკის ხელმძღვანელობა	1 საათი დღეში	
25.	კონსულტაცია (სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა)	2 საათი კვირაში	
26.	პროგრამის ხელმძღვანელობა	500	
27.	პროგრამის თანახელმძღვანელობა	300	
28.	ტრენინგ-კურსის მომზადება/ჩატარება	100 საათი 1 ტრენინგ-კურსზე	
29.	საჯარო ლექციის მომზადება/ჩატარება	100 საათი 1 საჯარო ლექციაზე	
30.	ონლაინ ვიდეო ლექციების ჩატარება	1 საათი 1 ლექციაზე	
31.	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებაში მონაწილეობა	50 საათი	
32.	არასააუდიტორიო კომუნიკაცია სტუდენტებთან და სხვა	2 საათი კვირაში	
33.	საზოგადოებრივი საქმიანობა	1 აქტივობა 20 საათი	



შენიშვნა:

- აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა დანართის შესაბამისად მინიმუმ 18 საათით
- აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის/პროფესორისთვის წელიწადში შესასრულებელი მინიმალური 800 საათიდან 30% უნდა დაეთმოს საკონტაქტო საათებს/სწავლებას, 40%-კვლევას, 30% - სწავლებას, კვლევას და სხვა დანარჩენ აქტივობებს აკადემიური პერსონალის შეხედულებისამებრ.
- აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა დანართის შესაბამისად მინიმუმ 18 საათით
- აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის/ასოცირებული პროფესორისთვის წელიწადში შესასრულებელი მინიმალური 800 საათიდან 35% უნდა დაეთმოს საკონტაქტო საათებს/სწავლებას, 35%-კვლევას, 30% - სწავლებას, კვლევას და სხვა დანარჩენ აქტივობებს აკადემიური პერსონალის შეხედულებისამებრ.

